შპს „როიალი “

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

სარჩევი

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

სრული შემოსავლის ანგარიშგება 5

ფულადი ნაკადების ანგარიში 6

კაპიტალის ცვლილების ანგარიში 7

შპს როიალი 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 8

1.ზოგადი ინფორმაცია 8

2.მომზადების საფუძვლები 8

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 9

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 14

5. ფიქსირებული აქტივები 15

6. მარაგები 15

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 16

8. ფულადი სახსრები 16

9. სავაჭრო ვალდებულებები 17

10. შემოსავალი რეალიზაციიდან 17

11. საოპერაციო ხარჯები 17

12. სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 17

13. არასაოპერაციო მოგება 18

14. არასაოპერაციო ზარალი 18

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 18

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 18

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 18

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინასური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, **შპს „როიალის“** ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქცინირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქცინირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **შპს „როიალის“** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა დაამტკიცა 2025 წლის 26 აგვისტოს.

Irakli Sopromadze 01001098534

Digitally signed by Irakli Sopromadze
Date: 2025.08.27 14:48:15

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
26 აგვისტო 2025 წელი
თბილისი, საქართველო

შპს როიალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პრიოდისთვის
საანაგრიშგებო ვალუტა ლარი

		12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
ფულადი სახსრები	8	72.662	28.608
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	210.991	364.479
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	588.013	715.183
სხვა მიმდინარე აქტივები		2.049	2.416
ჯამურად მიმდინარე აქტივები		**873.715**	**1.110.686**
ძირითადი საშუალებები	5	62.209	89.149
არამატერიალუ აქტივები			
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		**62.209**	**89.149**
სულ აქტივები		**935.924**	**1.199.835**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებბი	9	123.784	100.847
მმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		49.325	68.181
მოკლევადიანი სესხები			
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		**173.109**	**169.028**
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	81.589	162.993
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		**81.589**	**162.993**
სულ ვალდებულებები		**254.698**	**332.020**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		5.020	5.020
გაუნაწილებელი მოგება		676.207	862.795
სულ კაპიტალი		**681.227**	**867.815**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**935.924**	**1.199.835**

Irakli Sopromadze
Digitally signed by Irakli Sopromadze
Date: 2025.08.27 14:49:28

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
26 აგვისტო 2025 წელი
თბილისი, საქართველო

შპს როიალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანაგრიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	**12/30/2024**	**12/30/2023**
შემოსავალი რეალიზაციიდან	**10**	2.728.539	3.065.433
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი			
სულ შემოსავალი		**2.728.539**	**3.065.433**
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		2.241.809	2.612.323
სულ თვითღირებულების ხარჯები		**2.241.809**	**2.612.323**
მთლიანი მოგება		**486.730**	**453.110**
თანამშრომელთს ხელფასები		122.930	108.925
ცვეთის ხარჯი		29.057	20.678
იჯარის ხარჯი		263.076	115.536
საოპერაციო ხარჯები	**11**	48.919	34.009
სულ საოპერაციო ხარჯები		**463.983**	**279.149**
არასაოპერაციო მოგება	**13**	10.011	8.380
არასაოპერაციო ზარალი	**14**	30.228	27.792
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		**-20.217**	**-19.412**
მოგება დაბერგვრამდე		**2.530**	**154.550**
მოგების გადასახადი			
დივიდენდის გაცემა		189.118	393.545
დაგროვილი მოგება		**-186.588**	**-238.995**

Irakli Sopromadze 01001098534
Digitally signed by Irakli Sopromadze
Date: 2025.08.27 14:50:25

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
26 აგვისტო 2025 წელი
თბილისი, საქართველო

შპს როიალი

ფულადი ნაკადების ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	12/31/2024	12/31/2023
მოგება დაბეგრვამდე	2.530	154.550
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	29.057	20.678
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**31.587**	**175.228**
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	153.488	47.523
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	127.170	106.609
ცვლილებები სხვა სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	367	6.283
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	22.937	88.106
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	-18.856	24.654
ცვლილება სასესხო ვალდებულებებში	-81.404	-
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**235.289**	**448.402**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	-2.117	-71.244
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-2.117**	**-71.244**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი		18.253
დივიდენდის გაცემა	-189.118	-393.545
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**-189.118**	**-375.292**
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	**44.054**	**1.866**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	28.608	26.742
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**72.662**	**28.608**

Irakli

Digitally signed by
Irakli Sopromadze
Date: 2025.08.27

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
26 აგვისტო 2025 წელი
თბილისი, საქართველო

შპს როიალი

კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწედებო კაპიტალი	**მოგება ზარალი**	**ჯამურად**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5.020**	**1.101.791**	**1.106.811**
მიმდინარე წლის მოგება	-	154.550	**154.550**
გაცემული დივიდენდი	-	-393.545	**-**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5.020**	**862.796**	**867.816**
მიმდინარე წლის მოგება	-	2.530	**2.530**
გაცემული დივიდენდი	-	-189.118	**-**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5.020**	**676.208**	**681.228**

Irakli Sopromadze
Digitally signed by Irakli Sopromadze
Date: 2025.08.27

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
26 აგვისტო 2025 წელი
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს ,,როიალი“ (შემდგომში -”საზოგადოება”) დაფუძნდა 2015 წლის 31 აგვისტოს. საიდენტიფიკაციო კოდი: 400151919. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 85, ბინა N105. საზოგადოების წილის 100%-ს ფლობს ფ/პ დავით სოფრომაძე (პ/ნ 41001002356).

საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლება მოსილი პირია ირაკლი სოფრომაძე (პ/ნ 01001098534).

შპს ,,როიალის“ (შემდგომში-”საზოგადოება”) საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- ✓ ორთოპედიული და სხვა სახის ლეიბების წარმოება;
- ✓ რბილი ავეჯის წარმოება;
- ✓ ლამინატის ავეჯის წარმოება;
- ✓ საწოლების კარკასისა და სხვა ატრიბუტების წარმოება;
- ✓ სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანომდებლობით არ არის აკრძალული.

პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ქ.თბილისში, საფირმო მაღაზიის მეშვეობით.

2.მომზადების საფუძვლები

ა) შესაბამისობის განაცხადი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მსს ფასს-ების შესაბამისად, ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის

გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“) რაც ასევე არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, კონვერტირების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებულიფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გადაყვანილია ლარში, ამ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კონვერტირება აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული უპირატესი გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია წინამდებარე მოგება-ზარალის ანგარიშში- „ საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 EUR/GEL	2.9306	2.9753
1 USD/GEL	2.8068	2.6894

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან აკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავალის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს.კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

იჯარა

საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურლებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტინის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გმოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომაროებაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი

შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
მანქანა დანადგარები/სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5 წელი
არამატერიალური აქტივები	5-7 წელი

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვირისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება

აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულის და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების

გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება.

თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.ფული და ფულის ექვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულდება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად

მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

5. ფიქსირებული აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოებას ფიქსირებული აქტივები ერიცხება შემდეგნაირად.

	მანქანა-დანადგარები	**ოფისის აღჭურვილობა**	**სატრანსპორტო საშუალებები**	**ავეჯი და სხვა ინვენტარი**	**არამატერიალური აქტივები**	**სულ**
საწყისი ღირებულება						
ბალანსი31/12/2023	**232.668**	**11.443**	**13.503**	**97**	**1.314**	**259.026**
დანამატები	2.118	-				2.118
აქტივების ჩამოწერა	4.269					4.269
ბალანსი 31/12/2024	**230.516**	**11.443**	**13.503**	**97**	**1.314**	**256.875**
აკუმულირებული ცვეთა						
ბალანსი 31/12/2023	**146.099**	**8.931**	**13.503**	**29**	**1.314**	**169.877**
ცვეთა პერიოდისათვის	28.714	324		19		29.057
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	4.269					4.269
ბალანსი 31/12/2024	**170.544**	**9.255**	**13.503**	**48**	**1.314**	**194.665**
წმინდა ღირებულება						
ბალანსი 31/12/2023	**86.569**	**2.512**	**-**	**69**	**-**	**89.150**
ბალანსი 31/12/2024	**59.973**	**2.188**	**-**	**49**	**-**	**62.210**

6. მარაგები

მარაგები 2023-2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	12/31/2024	**12/31/2023**
საქონელი	2.767	18.742

მზა პროდუქცია მაღაზიებში	28.838	17.213
ნედლეული და მასალები მატრასები	234.528	384.778
ნედლეული და მასალები სამეულებში	111.540	96.657
მასალები კარკასები და საბარგ.საწოლები	101.887	31.588
მასალები ლამინატის ავეჯის	5.657	6.451
ნ/ფაბრიკატები	23.735	36.086
მზა პროდუქცია	75.212	121.497
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3.849,00	1.809
დამხმარე მასალები		363
ჯამურად სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**588.013**	**715.183**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023-2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	12/31/2024	**12/31/2023**
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	198.028	344.246
მოთხ. ხელმძღვ.და სამეთვ.ორგ.წევრ.მიმართ	12.963	20.233
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	**210.991**	**364.479**
მინუს:გაუფასურების რეზერვი		
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**210.991**	**364.479**

8. ფულადი სახსრები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023-2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	12/31/2024	**12/31/2023**
ლარები საბანკო ანგარიშებზე	72661,9	28.608
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	**72.662**	**28.608**
ნაღდი ფული სალაროში ლარებში		
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	**72.662**	**28.608**

9. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023-2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	116.562	86.083
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	7.222	8.933
მიღებული ავანსები		5.830
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**123.784**	**100.847**

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი 2023-2024 წლებში შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
შემოსავალი	2.728.539	3.065.433
	2.728.539	**3.065.433**

11. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები 2023-2024 წლებში შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	45.657	45.291
რეკლამის ხარჯები	5.500	6.210
ბანკის ხარჯი	7.417	9.183
კონვერტაციის ხარჯები	2.786	289
კომუნალური ხარჯები	27.931	6.271
საკანცელარიო ხარჯები	186	123
კომუნიკაციის ხარჯები	468	305
დაზღვევა	2.284	2.089
საკონსულტაციო ხარჯები	1.500	7.585
სხვა საგადასახადო ხარჯი	779	655
სხვა საერთო ხარჯი	68	1.300
სულ პირდაპირი ხარჯები	**48.919**	**34.009**

12. სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვანიანი სასესხო ვალდებულებები 2023-2024 წლებში შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
გრძელვადიანი სესხი ბანკიდან	81588,7	162.993
სულ მიღებული სესხები	**81.589**	**162.993**

13. არასაოპერაციო მოგება

არასაოპერაციო მოგება 2023-2024 წლებში შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
კურსთაშორის სსხვაობიდან მიღებული შემოსავალი	9.671	7.793
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	340	587
–		
სულ შემოსავალი	**10.011**	**8.380**

14. არასაოპერაციო ზარალი

არასაოპერაციო ზარალი 2023-2024 წლებში შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
საპროცენტო ხარჯები	20.086	17.574
კურსთაშორისი სხვაობა ხარჯი	10.142	9.718
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1	500
სულ არასაოპერაციო ხარჯი	**30.229**	**27.792**

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 23 აგვისტოს.